ზოგადი სტატისტიკური მიმოხილვა

საქართველოს მოქალაქეების მიერ საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის მექანიზმების გამოყენების და საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო და საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების შესახებ

თბილისი 2022

ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

UNDP

სტატისტიკური მიმოხილვა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), და შესაძლოა იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

ზოგადი სტატისტიკური მიმოხილვა

საქართველოს მოქალაქეების მიერ საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის მექანიზმების გამოყენების და საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო და საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების შესახებ

შესავალი

2015 წლიდან დღემდე, საქართველოს პარლამენტი აქტიურად მუშაობს ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპების დანერგვასა და განხორციელებაზე. ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმებში ასახული ვალდებულებების განხორციელებით შესაძლებელი გახდა საქართველოს მოქალაქეებისათვის შექმნილიყო საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი დანერგილია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით.

ამავდროულად, საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძვლებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი, როგორც საპარლამენტო რესპუბლიკის საკანონმდებლო ხელისუფლება, აქტიურად მუშაობს საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად, რომ გაძლიერდეს საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო და საზედამხედველო ფუნქციები. როგორც საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ეფექტური კონტროლის განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგანგებო მდგომარეობის, მათ შორის, პანდემიის დროს.

წინამდებარე მიმოხილვა შექმნილია საქართველოს პარლამენტიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე და მიზნად ისახავს დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს რაოდენობრივი სტატისტიკური ინფორმაცია როგორც საქართველოს მოქალაქეების მიერ საქართველოს პარლამენტის მიერ შემოთავაზებული მექანიზმების და სერვისების გამოყენების, ასევე, საქართველოს პარლამენტის მიერ საკანონმდებლო და საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების, შესახებ.

გრაფიკი 1

2017-2021 წლებში საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო ინიციატივები იყოფა შემდეგ ჯგუფებად: საკანონმდებლო ინიციატივის წესით, პარლამენტის წევრების, კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების ინიციატივითა და არანაკლებ 25000 ამომრჩევლის ინიციატივით. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ფიქსირდება ყველაზე მეტი საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა - 887, ასევე 2018 წელს დაფიქსირდა ყველაზე მეტი პარლამენტის წევრების ინიციატივით შემოსული საკანონმდებლო ინიციატივები - 453. ამომრჩევლებმა ორჯერ ისარგებლეს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით - 2017 და 2018 წლებში.



გრაფიკი 2

საქართველოს IX-X მოწვევის პარლამენტში 2019 წელს ჯამში 9 პეტიცია დარეგისტრირდა. 2020 წელს დარეგისტრირებული პეტიციების რიცხვმა იკლო და ფიქსირდება მხოლოდ - 4 პეტიცია. 2021 წელს საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირებული პეტიციების რიცხვმა იმატა და შეადგინა - 12 პეტიცია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ორი პეტიცია, რომლებიც ეხება საქართველოს კანონის „ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების შესახებ“ მიღების დაჩქარების პროცესს და კოვიდ 19-ის მიზეზით დაშორებული ოჯახებისა და წყვილების გაერთიანებას.



2019-2020 წლებში საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირებული პეტიციების ჯამური ხელმოწერების რაოდენობამ 62,302 შეადგინა. 2019 წელს წარდგენილ პეტიციებს ჯამურად მხარი დაუჭირა 5228 მოქალაქემ. 2020 წელს კი ფიქსირდება - 19089 ხელმოწერა, ხოლო 2021 წელს მატულობს საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირებული პეტიციების ხელმომწერთა რიცხვი და შეადგენს - 37985.

საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირებული პეტიციების ჯამური ხელმოწერების რაოდენობა



გრაფიკი 4

2017-2021 წლებში საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილ იქნა 560 საკანონმდებლო წინადადება. წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებებიდან კანონპროექტად ჯამში დარეგისტრირდა 4 საკანონმდებლო წინადადება. აღსანიშნავია, რომ 2017–2021 წლებში საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებებიდან, საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კანონად ოთხივე საკანონმდებლო წინადადება მიიღო.



გრაფიკი 5

საქართველოს პარლამენტმა 2017-2021 წლებში ჯამში მიიღო 2,444 კანონი. აქედან საქართველოს პარლამენტის კომიტეტების, საპარლამენტო ფრაქციებისა და ცალკეული პარლამენტის წევრების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივებიდან საქართველოს პარლამენტმა 2018 წელს მიიღო ყველაზე მეტი - 294 საქართველოს კანონი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2017–2021 წლებში საქართველოს პარლამენტს არ მიუღია საქართველოს კანონი, რომლის ინიციატორი იყო არანაკლებ 25000 ამომრჩეველი.

გრაფიკი 6

2017-2021 წლებში საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებში საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ ჯამში გაგზავნილ იქნა 4,301 წერილობითი კითხვა. აქედან 2021 წელს ფიქსირდება ყველაზე მეტი - 1,587 პასუხი, ხოლო ვადის დაცვით მიღებული პასუხების რიცხვი მაღალია ასევე 2021 წელს სხვა წლებთან შედარებით.



2017-2021 წლების პერიოდში საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-40 მუხლის შესაბამისად ჯამში საქართველოს პარლამენტის კომიტეტების სხდომებზე პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების დაბარების 54 მოთხოვნა დაფიქსირდა, რომელთაგან ჯამში გამოცხადდა 34 პირი. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ვლინდება ყველაზე მეტი დაბარების მოთხოვნა (17 მოთხოვნა), და შესაბამისად ყველაზე მეტი გამოცხადების (12 პირი გამოცხადდა) შემთხვევა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2021 წელს 16 დაბარებული თანამდებობის პირიდან პარლა-მენტის წინაშე წარსდგა მხოლოდ 7.



გრაფიკი 8

2017-2021 წლებში საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულმა ორგანოებმა საქართველოს პარლამენტს ჯამში წარუდგინეს 98 ანგარიში. წარდგენილი ანგარიშებიდან პლენარულ სხდომაზე ყველაზე მეტი 11 ანგარიში განიხილეს 2017 და 2018 წლებში, ხოლო ყველაზე ნაკლები განხილვა გვხვდება 2020 წელს (7 ანგარიში). აღსანიშნავია, რომ ერთი და იმავე ანგარიში შესაძლებელია განხილულ იქნას სხვადასხვა კომიტეტების მიერ.

რაც შეეხება საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის კომიტეტების მიერ განხილულ ანგარიშებს, გაცნობებთ, რომ 2017 წელს განიხილეს 34 ანგარიში, 2018 წელს – 38 ანგარიში, 2019 წელს – 45 ანგარიში, 2020 წელს – 35 ანგარიში, ხოლო 2021 წელს – 38 ანგარიში.



გრაფიკი 9

2017–2021 წლებში საქართველოს პარლამენტის კომიტეტების სხდომებზე დასწ-რების მოთხოვნით იურიდიული პირებისაგან, მოქალაქეებისგან ან/და მოქალაქეთა ჯგუფებისაგან შემოვიდა ჯამში 96 განცხადება, კერძოდ: 2017 წელს – 12 განცხადება, 2018 წელს – 21 განცხადება, 2019 წელს – 16 განცხადება, 2020 წელს – 15 განცხადება, 2021 წელს - 32 განცხადება.

რაც შეეხება კომიტეტების სხდომებზე დასწრებას, 2017–2021 წლებში საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომებზე დასწრების მოთხოვნით მოქალაქეებისგან ან/და მოქალაქეთა ჯგუფებისაგან ჯამში დარეგისტრირდა 31 განცხადება, კერძოდ: 2017 წელს – 4 განცხადება, 2018 წელს – 2 განცხადება, 2019 წელს – 12 განცხადება, 2020 წელს – 4 განცხადება, 2021 წელს – 9 განცხადება.



გრაფიკი 10

საქართველოს პარლამენტში 2017 წელს ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან დარეგისტრირდა 25,545 განცხადება (ფიზიკური პირი – 11,578 განცხადება, იური-დიული პირი – 13,967 განცხადება), 2018 წელს – 21,168 განცხადება (მოქალაქე – 9,319 განცხადება, იურიდიული პირი – 11,849 განცხადება), 2019 წელს – 26,786 განცხადება (მოქალაქე – 12,054 განცხადება, იურიდიული პირი – 14,732 განცხადება), 2020 წელს – 18,512 განცხადება (მოქალაქე – 9,323 განცხადება, იურიდიული პირი – 9,189 განცხადება), ხოლო 2021 წელს – 18,944 განცხადება (მოქალაქე – 8,295 განცხადება, იურიდიული პირი – 10,649 განცხადება).



გრაფიკი 11

საქართველოს პარლამენტის სოციალური ქსელების აქტივობა 2019-2021 წლების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: 2020-2021 წლებში საქართველოს პარლამენტის Facebook გვერდზე ვიზიტორთა რაოდენობა გასამმაგდა წინა წლებთან შედარებით. 2017-2021 წლებში საქართველოს პარლამენტის Twitter-ის ანგარიშზე შეიმჩნევა მზარდი ინტერესი და ყოველწლიური ვიზიტორების რაოდენობა მერყეობს 6011 ვიზიტორიდან 9300 ვიზიტორამდე. რაც შეეხება ფოტო/ვიდეოზე ფოკუსირებულ სოციალურ პლატფორმა Flickr-ს, მოქალაქეების ინტერესი კლებულობს 2017 წლიდან და მცირდება დაახლოებით 700 ათასი წლიური ვიზიტორიდან 200 ათას ვიზიტორამდე. საქართველოს პარლამენტის YouTube არხის გამომწერების რაოდენობა მცირედით მატულობს ყოველწლიურად და 2021 წელს 853-ს ადგენს.



გრაფიკი 12

საქართველოს პარლამენტში 2019-2021 წლებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით დარეგისტრირდა სულ 994 განცხადება, მათ შორის, ფიზიკური პირებისგან – 486 განცხადება, ხოლო იურიდიული პირებისგან – 311 განცხადება. 2021 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულია ყველაზე მეტი - 399 განცხადება, ხოლო 2020 წელს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შემცირებულია და წარმოადგენს 260 მოთხოვნას.



2019 წელს დარეგისტრირდა ინტერპელაციის წესით დასმული 9 შეკითხვა, 2020 წელს – 3 შეკითხვა, ხოლო 2021 წელს – 4 შეკითხვა. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ინტერპელაციის წესით მოწვეული მინისტრების მოსმენები 2019 წელს გაიმართა 7-ჯერ, ვინაიდან 2 შეკითხვა ავტორებმა გამოითხოვეს.

2020 წელს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაიმართა მოწვეული მინისტრების 3 მოსმენა, ხოლო 2021 წელს მოსმენები არ გამართულა. 2019 წელს ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვებზე ადრესატების მხრიდან მოვიდა 7 პასუხი, 2020 წელს – 3 პასუხი, ხოლო 2021 წელს – არცერთი პასუხი.



გრაფიკი 14

საქართველოს მოქალაქეთა მხრიდან კანონპროექტებთან დაკავშირებით უკუკავშირი განხორციელდა 2017 წელს 53-ჯერ, 2018 წელს – 59-ჯერ, 2019 წელს – 42-ჯერ, 2020 წელს – 57-ჯერ, 2021 წელს – 52-ჯერ.



საქართველოს პარლამენტში 2019 წელს მინისტრის საათი გაიმართა 10-ჯერ, 2020 წელს – 4-ჯერ, ხოლო 2021 წელს – 12-ჯერ.



საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში და მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოებში 2019 წელს ჩატარდა 10 თემატური მოკვლევა, 2020 წელს – 8 თემატური მოკვლევა, ხოლო 2021 წელს – 18 თემატური მოკვლევა.



საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა 2019 წელს განახორციელეს 3 ნორმატიულ აქტზე აღსრულების კონტროლი, 2020 წელს – 3 ნორმატიულ აქტზე, ხოლო 2021 წელს – 4 ნორმატიულ აქტზე.



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი
(IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20, 0108
თბილისი, საქართველო

+ 995 32 292 15 14

info@idfi.ge

www.idfi.ge